დამტკიცებულია

დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის #76/23 ბრძანებით

ცვლილება განხორციელებულია:

დირექტორის 2025 წლის 15 ივნისის #28/25 ბრძანებით

შპს „პროფიუნიტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის გავლის ინსტრუქცია და პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის შერჩევის წესი

2025 წელი

1. ზოგადი დებულებები

1.1. პრაქტიკული კომპონენტი მოდულის განუყოფელი ნაწილი და პროფესიულ სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს:

- მიღებული თეორიული ცოდნა დააკავშიროს პრაქტიკასთან;
- რეალურ პრაქტიკულ გარემოში გამოსცადოს კოლეჯის სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები/უნარები;
- განიმტკიცოს და განივითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები და მოემზადოს მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის;
- მარტივად შეძლოს სამუშაო გარემოში ადაპტაცია;

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტის გავლასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებს.

2. პრაქტიკის ობიექტის შერჩევის წესი და პრაქტიკის განხორციელების პრინციპები

2.1. პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული კომპონენტის გავლა შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკის განმახორციელებელ იმ ორგანიზაციაში, რომელთანაც შპს ,,პროფიუნიტს" გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ან/და მემორანდუმი;

2.2. პრაქტიკის ხელშეკრულებაში/მემორანდუმში სავალდებულოდ უნდა გაიწეროს :

- პრაქტიკის ობიექტისა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
- ორივე ორგანიზაციის მზაობა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- პრაქტიკის ობიექტის ჩამონათვალი;
- შრომის უსაფრთხოების, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები;
- პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ჩამონათვალი;
- პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა;
- ხელშეკრულების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;
- მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- პრაქტიკის ობიექტის/დაწესებულების სხვა უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხები;
- გაფორმებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ასევე პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებას ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების შეჩერების ან ჩამორთმევის თაობაზე კოლეჯის ინფორმირების შესახებ გონივრულ ვადებში;

2.3. ხელშეკრულების/მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად ითვლება პრაქტიკის გავლის შესახებ ორგანიზაციისადმი მიმართვა, რომლის შინაარსი განისაზღვრება კონკრეტული მოდულის მიხედვით და შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პრაქტიკული კომპონენტების ჩამონათვალი, რომელთა შესწავლა ხდება პრაქტიკის ობიექტზე.
- პრაქტიკის განხორციელების ადგილი და ვადები;
- პრაქტიკის გავლის თანმიმდევრობა და სამუშაო დროის განაწილება;
- პრაქტიკის საბოლოო შეფასება;

2.4. პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება/საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სტუდენტებისათვის მოდულით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების გავლას რეალურ სამუშაო გარემოში;
- უზრუნველყოფდეს შესაბამის მოდულის/სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს;
- ხელს უწყობდეს პროგრამით განსაზღვრული თითოეული მოდულის იმ სწავლის შედეგის დადასტურებას მტკიცებულებებით, რომლის მიღწევა შესაძლებელია რეალურ სამუშაო გარემოში;
- უზრუნველყოფდეს პროფესიულ სტუდენტებისთვის ადეკვატურ, უსაფრთხო და მოდულის შინაარსის შესაბამის გარემოს;
- აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ პასუხისმგებლობას;
- მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულაციით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.
- სათანადო დახმარებას უწევდეს სტუდენტს პრაქტიკის გავლის ადგილზე;

2.5. უსაფრთხო და კრიტერიუმების შესაბამისი სამუშაო გარემო შექმნილი და დაცული უნდა იქნეს სასწავლო კაბინეტებში, რაზედაც პასუხისმგებელია დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;

2.6. კრიტერიუმების შემოწმებას, კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/პირები (დირექტორის მოადგილე და ხარისხის მართვის კოორდინატორი) - რომლის/რომელთა უფლება-მოვალეობას განეკუთვნება შემდეგი:

- შეარჩიოს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები;
- მოახდინოს გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებთან (ყველა ობიექტთან) მათი პასუხისმგებლობისა და მოტივაციის მიზეზის დადგენის მიზნით;
- მოაწყოს შეხვედრები და ჩატარდეს სემინარები პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, გააცნოს მათ პროფესიული პროგრამების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მნიშვნელობა და მათი ჩართულობის პასუხისმგებლობა;

- პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად ადგილზე შეამოწმოს ობიექტის მატერიალური და ადამიანური რესურსი, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის მიმდინარეობა.
- საჭიროების შემთხვევაში შეამოწმოს ობიექტის საქმიანობის ლიცენზია და სალიცენზიო პირობები ასეთის არსებობის შემთხვევაში;

2.7. იმის დასადასტურებლად, რომ პრაქტიკის ობიექტი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს, დაწესებულება იყენებს შეხვედრის ფორმატს, რომელზეც პარტნიორს მიეწოდება ინფორმაცია კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ პროფესიულ განათლებაში, საკუთარი პასუხისმგელობის შესახებ პროგრამის განხორციელების პროცესში, ასევე მასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებზე, მათ შორის მისაღწევი სწავლის შედეგებისათვის;

2.8. აღნიშნულ კრიტერიუმთან პრაქტიკის ობიექტის შესაბამისობა დასტურდება მათთან გამართული შეხვედრის ამსახველი მტკიცებულებებით (ვებგვერდზე ან სოცქსელში განთავსებული ინფორმაცია, ფოტომასალა, პრეზენტაცია და სხვა) და გაფორმებული ხელშეკრულებით;

2.9. ობიექტის მიერ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაციას და ინიციატივას ობიექტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ პასუხისმგებელი პირი წარუდგენს დირექტორს;

2.10. დირექტორის თანხმობა გამოიხატება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით;

3. კრიტერიუმების შესაბამისობის მონიტორინგი

3.1. კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგი ანუ ხელშეკრულების პირობების სათანადოდ შესრულება ხორციელდება სტუდენტთა შეფასებების და კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის, ასევე პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის უკუკავშირის საფუძველზე და პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის მეშვეობით;

3.2. სტუდენტთა კმაყოფილების დასადგენად კითხვარს ადგენს და კვლევას ატარებს ხარისხის მართვის კოორდინატორი და წარუდგენს სასწავლებლის დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს.

3.3. შედგენილი კითხვარის თემატიკით უნდა დადგინდეს პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი;

3.4. პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის დროს ხორციელდება ობიექტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და პროგრამის განხორციელებში ჩართულ პერსონალთან შეხვედრა მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში, რაც დასტურდება გამართული შეხვედრის ამსახველი მტკიცებულებებით (ვებგვერდზე ან სოცქსელში განთავსებული ინფორმაცია, ფოტომასალა, პრეზენტაცია და სხვა);

3.5. კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კოლეჯი ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვას პრაქტიკის ობიექტისგან;

4. პრაქტიკის ორგანიზაცია, პრაქტიკის განხორციელების პროცესი

4.1. პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
მოსამზადებელი შეხვედრა - პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება სტუდენტთა ინფორმირება მათი უფლება- მოვალეობების, უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების, პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის და პრაქტიკის საბოლოო შეფასების შესახებ;
პრაქტიკის ადგილის გაცნობა სტუდენტებისათვის პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად;
რეგულარული ზედამხედველობა სტუდენტზე ინსტრუქტორის მიერ;
კონსულტაციის გაწევა სტუდენტისათვის პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
პრაქტიკული კომპონენტის შეფასება;
4.2. მოდულში შემავალი პრაქტიკული კომპონენტების გავლის საერთო ხელმძღვანელობას და პრაქტიკის მიმდინარეობას ამოწმებს პრაქტიკის ხელმძღვანელი ხარისხის მართვის კოორდინატორთან ერთად, ხოლო პრაქტიკის ობიექტზე ორგანიზაციის (პრაქტიკის ობიექტის) მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი; ინფორმაციას პრაქტიკის მიმდინარეობაზე აწვდიან კოლეჯის დირექტორის მოადგილეს;
პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებულია პრაქტიკის ობიექტზე მოდულის პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე ინსტრუქტორს მიაწოდოს ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სამუშაო პროცესზე დაკვირვების ფურცელი.
პრაქტიკის ხელმძღვანელი ამყარებს კონტაქტს ინსტრუქტორთან და იღებს ინფორმაციას პრაქტიკის მიმდინარეობისა და სტუდენტთა დასწრების შესახებ;
პრაქტიკის ხელმძღვანელი უწევს კონტროლს სტუდენტების პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე დროულად გამოცხადებას და პრაქტიკის ვადების დაცვას;
აკონტროლებს პრაქტიკის ხელშეკრულების პირობების დაცვას;
4.3. დაწესებულებიდან (პრაქტიკის ობიექტიდან) დანიშნული ინსტრუქტორი ახორციელებს:

- სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას პრაქტიკის პროგრამის, გაფორმებული ხელშეკრულებისა და ამ დებულების საფუძველზე;
- სტუდენტებისათვის პრაქტიკის გასავლელად და შედეგების მისაღწევად საჭირო პირობების შექმნას და გაცნობას, პრაქტიკის გავლის პერიოდში უშუალო სამუშაო ადგილით უზრუნველყოფას, პრაქტიკის პერიოდში შესასრულებული ამოცანების განმარტებას;
- სტუდენტთა ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და პრაქტიკის პროგრამის შესრულების კონტროლის განხორციელებას;
- სტუდენტებისათვის უსაფრთხოების ერთიანი წესების დაცვის შესახებ ინსტრუქტაჟის ყოველდღიურად ჩატარების ორგანიზებას;
- თითოეული სამუშაო ადგილზე სტუდენტებისათვის უსაფრთხო მუშაობის პირობების შექმნას;
- პრაქტიკის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სამუშაო პროცესზე დაკვირვების ფურცელში მითითებული ყველა კრიტერიუმის დადასტურების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის შეფასებას და დაწესებულებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

4.4. ინსტრუქტორი ვალდებულია განუმარტოს სტუდენტს, რომ პრაქტიკული კომპონენტის არ ჩათვლის შემთხვევაში მას შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი;
4.5.თითოეულ ინსტრუქტორთან პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მიმაგრებული იყოს 3-5 პროფესიული სტუდენტი, ვინაიდან სამთომოპოვებითი სამუშაოები განეკუთვნება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის #381 დადგენილებით დამტკიცებულ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს;

5. მოდულებში შემავალი პრაქტიკული კომპონენტის სწავლების განხორციელების წესები

5.1. პრაქტიკის ხელმძღვანელი აწყობს მოსამზადებელ შეხვედრას პროფესიულ სტუდენტებთან პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
პროფესიული სტუდენტებისათვის ხდება შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:
ა) პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობა;
ბ) სამუშაო ადგილზე მისვლის და წამოსვლის დრო;
გ) დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობა;
დ) სავარაუდო განაწილება ობიექტებზე;
ე) პროფესიული სტუდენტებისათვის მოდულის პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტის გაცნობა;
5.2. პრაქტიკის დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე პრაქტიკის ობიექტს თანდართული სახელობითი სიებით ეგზავნება წერილობითი ინფორმაცია შემდეგზე:

- პროგრამის სახელწოდების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
- პრაქტიკის ობიექტისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართების შესახებ;
- პრაქტიკის ხანგძლივობის შესახებ;
- ინსტრუქტრუქტორების გამოყოფის შესახებ;

6. სტუდენტის უფლება და მოვალეობა

6.1. სტუდენტს აქვს უფლება:

- პროგრამით გათვალისწინებული მოდულის პრაქტიკული კომპონენტი გაიაროს რეალურ სამუშაო გარემოში;
- მოითხოვოს შესაბამისი და უსაფრთხო გარემო;
- მიიღოს კონსულტაციები პრაქტიკის საკითხებზე პრაქტიკის ხელმძღვანელისაგან და ინსტრუქტორისაგან;

სტუდენტი პრაქტიკის გავლის დროს ვალდებულია:

- გაიაროს პრაქტიკა განსაზღვრულ ვადებში;
- დაიცვას უსაფრთხოების ნორმები;
- დაიცვას პრაქტიკის დაწესებულების სამუშაო რეჟიმი და შინაგანაწესი;

- დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის და ინსტრუქტორის მიერ გაცემული, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებებით გათვალისწინებული ამოცანები;
- დაადასტუროს მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი;
- პრაქტიკის დასრულების შემდეგ დროულად წარუდგინოს მოდულის განმახორციელებელს მოდულით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

7. პრაქტიკის საბოლოო შეფასება

7.1. მოდულში შემავალი პრაქტიკული კომპონენტების შეფასებას ადასტურებს (ან არ ადასტურებს) პრაქტიკის ინსტრუქტორი;

7.2. პრაქტიკული კომპონენტების გავლის მტკიცებულებას წარმოადგენს პრაქტიკის ისტრუქტორის მიერ შევსებული ,,ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სამუშაო პროცესზე დაკვირვების ფურცელი“ .

8. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

8.1. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით.